უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

ოქტომბერი, 2023

თემატიკა:

- პლენარული სხდომა
- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პარლამენტში წარსადგენად, გიორგი კოხრეიძისა და თამილა დოლიძის კანდიდატურები შეარჩია

30 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის ორ კანდიდატს - გიორგი კოხრეიძესა და თამილა დოლიძეს წარუდგენს.

გადაწყვეტილება კანონმდებლებმა 30 ოქტომბრის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

როგორც ცნობილია, შესაბამისმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია და აჭარის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა სამეურვეო საბჭოს წევრობის შემდეგი 7 კანდიდატი: გიორგი კოხრეიძე, ემზარ პაქსაძე, თამარ წილოსანი, თამილა დოლიძე, მარინა გიორგაძე, ნატო ასათიანი, ფირუზ ბოლქვაძე.

გამარჯვებულმა ორმა კანდიდატმა პლენარულ სხდომაზე, ღია კენჭისყრის შედეგად, 14-14 ხმა მიიღო (ერთი წინააღმდეგი).

აჭარის უმაღლესი საბჭო, შერჩეულ მეურვეობის ორ კანდიდატს, კენჭისყრიდან სამი დღის ვადაში, დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.
ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კენჭისყრის დაწყებამდე, პროტესტის ნიშნად, სხდომათა დარბაზი დატოვა.

ბიუროს სხდომა

ბიუროს სხდომა

28 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატებს შეარჩევენ.

გადაწყვეტილება კანონმდებლებმა 28 ოქტომბრის ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

მისი განცხადებით, შესაბამისმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია და აჭარის უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინა სამეურვეო საბჭოს წევრობის 7 კანდიდატი: გიორგი კოხრეიძე, ემზარ პაქსაძე, თამარ წილოსანი, თამილა დოლიძე, მარინა გიორგაძე, ნატო ასათიანი, ფირუზ ბოლქვაძე. მათგან, პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრის შედეგად, ორი კანდიდატი შეირჩევა.

აჭარის უმაღლესი საბჭო, კენჭისყრიდან სამი დღის ვადაში, შერჩეულ მეურვეობის ორ კანდიდატს, დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.



კომიტეტის სხდომა

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

11 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მიერ გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

შესაბამისი მოხსენება, კანონმდებლებს, ცენტრის ხელმძღვანელმა - ლევან გორგილაძემ წარუდგინა.

მომხსენებელმა ისაუბრა „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მიერ გაწეულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე. მისი განცხადებით, განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და ფლობს საერთაშორისო - ISO სერთიფიკატს, გაფართოვდა კვლევის კომპონენტები, დაინერგა კვლევის თანამედროვე მეთოდები.

ცენტრი იკვლევს რძისა და ხორცის პროდუქტების, სანელებლების, სხვა სურსათის შემცველობასა და უსაფრთხოებას. სამომავლოდ, დაგეგმილია კვლევის არეალის გაფართოება სხვადასხვა მიმართულებით. მომხსენებელმა, ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა

12 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა, შესაბამისი მოხსენება, ცენტრის ხელმძღვანელმა - თაკო გაბაიძემ წარმოადგინა.

მომხსენებელის განცხადებით, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის კალენდარი იგეგმება ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს, ყოველწლიურად, ჩართულობის ზრდას.

ცენტრის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა შეუძლიათ, აჭარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ, 14-დან 29 წლის ასაკის ახალგაზრდებს.

ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, წლის განმავლობაში მოეწყო არაერთი შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ბანაკი, გაიმართა ფესტივალი, ლაშქრობა, სხვა ინტელექტუალური აქტივობები, ახალგაზრდები ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. აღინიშნა, რომ წელს აქტივობებში ათასობით ახალგაზრდა ჩაერთო და წლის ბოლოს მათი რიცხვი 12 ათასამდე გაიზრდება.

ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

26 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ და „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების ინიცირება იწყება. საკითხი საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ, ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

მომსხენებლის განცხადებით, საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის ავტორები უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ლადო მგალობლიშვილი არიან, აჭარის მთავრობისა და საგზაო დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით მომზადდა. კონსულტაციები გავლილია საქართველოს ხელისუფლების შესაბამის რგოლებთან.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

კომიტეტის სხდომაზე კიდევ ერთი ინიციატივა განიხილეს. რეგლამენტის პროექტი თანამდებობის პირთა ღია კენჭისრით არჩევას ითვალისწინებს, რაც აქამდე ფარული იყო.

ცვლილების თანახმად, ფარული კენჭისყრით მხოლოდ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩევიან.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

26 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდა, შესაბამისი მოხსენებებით აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი - ჯემალ ნაკაშიძე და სატყეო სააგენტოს უფროსი - ჯუმბერ აბულაძე წარსდგნენ.

მომხსენებლებმა მათი უწყებების მიერ განხორციელებულ, მიმდინარე პროგრამებზე, ქვეპროგრამებზე, გამოწვევებსა და სიახლეებზე ვრცელი ინფორმაცია წარმოადგინეს.

სხდომაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, კომიტეტის წევრებმა წარმოდგენილი ანგარიში და ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

ფრიდონ ფუტკარაძე, ხელვაჩაურში, უხვი ნალექის შედეგად გამოწვეული მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო

4 ოქტომბერი, 2023 წელი

მაღალმთიანეთისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძე, ხელვაჩაურში, უხვი ნალექის შედეგად გამოწვეული მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად გაეცნო.

„სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები ხელვაჩაურში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. დილიდან იწმინდება გზების დაზიანებული მონაკვეთები. საეჭვო ზონებიდან უსაფრთხო ადგილზე, ამ ეტაპზე, გაყვანილია 2 ოჯახი“, - აღნიშნა ფრიდონ ფუტკარაძემ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის - ზაზა დიასამიძის განცხადებით, უამინდობისგან გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად ყველა აუცილებელი ღონისძიება ტარდება, მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები და მძიმე ტექნიკა.

აგრარული ფორუმი - „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“

5 ოქტომბერი, 2023 წელი

„ტრადიციად დამკვიდრდა, რომ აგრარულ ფორუმზე ყოველწლიურად ვიკრიბებით და ვსაუბრობთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ შესაძლებლობებზე, მიღწევებსა და არსებულ გამოწვევებზე. ფერმერებისგან, ბიზნესმენებისა და სპეციალისტებისგან ვიღებთ ინფორმაციას, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ სწორი პოლიტიკა აგრარული სექტორის განვითარებისთვის - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, ბათუმში, აგრარული ფორუმის გახსნისას.

ღონისძიება -„აჭარის აგრარული შესაძლებლობები“ , რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე არაშიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, მარინე გვიანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ბიზნესფორუმს, აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების გამოფენას აერთიანებს.

ფორუმის მიზანია რეგიონის აგრარული შესაძლებლობების წარმოჩენა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, სოფლის მეურნეობის საინვესტიციო, საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა, ადგილობრივი და უცხოელი აგრომეწარმეების დაკავშირება და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება.

ღონისძიებას აგრარულ სექტორში ჩართული კომპანიები, ბიზნეს და დარგობრივი ასოციაციები, სავაჭრო - სამრეწველო პალატები, სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები და აჭარის აგრარული პოტენციალით დაინტერესებული კომპანიები ესწრებიან.

"AGRO BATUMI 2023" საზეიმოდ გაიხსნა

8 ოქტომბერი, 2023 წელი

ბათუმში, აგროსასურსათო პროდუქციისა და ახალი ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გამოფენა - "AGRO BATUMI 2023“, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

„GEONET EXPO-ს“ მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე ათეულობით ქართული და უცხოური კომპანიის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ინვენტარი, სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქციაა წარმოდგენილი.

ორდღიანი გამოფენა, აგრობიზნესმენებს ინოვაციური ტექნოლოგიების გაცნობის, საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისა და ახალი საქმიანი ურთიერთობების წამოწყების შესაძლებლობებს აძლევს.

2 წელი 26 მაისის ქუჩის ტრაგედიიდან

8 ოქტომბერი, 2023 წელი

ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, ჩამონგრეული სახლის ადგილას ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

ტრაგედიიდან, 2 წლის თავზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე აროშიძე და დავით ბაციკაძე, ქ. ბათუმის მერი - არჩილ ჩიქოვანი, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, დაზარალებული ოჯახები, რიგითი ბათუმელები შემთხვევის ადგილზე შეიკრიბნენ და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო და მომავალი წლის აგვისტოში დასრულდება.

ბინები 56 ოჯახს გადაეცემა. საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი 2021 წლის 8 ოქტომბერს ჩამოინგრა. ტრაგედიას 9 ადამიანი, მათ შორის 3 ბავშვი ემსხვერპლა.

„სკოლა-ბიზნესის ფორუმი“ გაიხსნა

11 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, აკადემიური წლის, პირველი „სკოლა-ბიზნესის ფორუმის“ გახსნას დაესწრნენ.

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, აჭარის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა, ადგილობრივ ბიზნესმენებს და დაინტერესებულ კომპანიებს, ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად 13 პროექტი წარუდგინეს.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ ბიზნესკომპანიები, რომლებმაც გასულ წელს, მოსწავლეთა იდეების განხორციელებაში მიიღეს მონაწილეობა.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სამუშაო შეხვედრა

18 ოქტომბერი, 2023 წელი

ბათუმში აჭარის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდ (IFES) საქართველოს, გენდერისა და ინკლუზიის მენეჯერმა - მირანდა ტყაბლაძემ გახსნეს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და რეგიონის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის დებულება შეხვედრაზე ფატი ხალვაშმა წარმოადგინა.

ღონისძიებაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე, მარინე გვიანიძე, ილია ვერძაძე, დავით თედორაძე და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარედ ფატი ხალვაში აირჩიეს, კომისიის წევრი უწყებების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კომისიის დებულებას, შეიმუშავეს და განიხილეს სამოქმედო გეგმა.

მარინე გვიანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას დაესწრნენ

20 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - მარინე გვიანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას - "რეკრეაციული პარკების მართვისა და განვითარების შესაძლებლობები“ დაესწრნენ.

ფორუმი, "ბათუმის ბულვარის ფესტივალის" ფარგლებში, წელს პირველად გაიმართა და სხვადასხვა თემატურ აქტივობებს მოიცავს. ღონისძიების მიზანი - ზღვისპირა პარკის ისტორიული მნიშვნელობის წარმოჩენა, რეკრეაციული პარკების თვალსაზრისით არსებული საუკეთესო თანამედროვე მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარებაა.

კონფერენციაზე, ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა ურბანული პარკების, გამწვანებისა და ლანდშაფტის დიზაინის, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით პრეზენტაციები წარმოადგინეს.

ჩაქვში ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა

26 ოქტომბერი, 2023 წელი

დაბა ჩაქვში, ციტრუსის ლოჯისტიკის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და სუბსიდირების უზრუნველყოფის მიზნით, საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა.

აჭარის მთავრობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით ამოქმედებული საკოორდინაციო შტაბი მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ზაზა შავაძესთან ერთად გახსნა. ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე აროშიძე, ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

საკოორდინაციო შტაბი 1 თებერვლამდე იმუშავებს. ამოქმედდება ცხელი ხაზი, რომელზეც ნებისმიერ მსურველი მიიღებს საჭირო ინფორმაციას. წელს საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს.

ამასთან, გაორმაგდა და არასტანდარტულ მანდარინზე სახელმწიფო სუბსიდია 25-თეთრით განისაზღვრა. 5 თეთრს გადაიხდის საწარმო, შესაბამისად, გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 30 თეთრი იქნება.

საინფორმაციო შეხვედრა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან

27 ოქტომბერი, 2023 წელი

ბათუმში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის გაცნობის მიზნით, შეხვედრა გაიმართა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

ღონისძიება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა, ლელა ჯანაშვილმა და მისმა პირველმა მოადგილემ, ოთარ ჩახუნაშვილმა გახსნეს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საჯარო და კერძო სექტორში ახალი კანონის იმპლემენტაციისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებსა და მათი გამოყენების ახალ წესებზე.

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის ივნისში მიიღო. კანონის ძირითადი ნაწილი 2024 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება, ხოლო გარკვეული დებულებები 1 ივნისიდან შევა ძალაში.

საერთაშორისო ურთიერთობები

დავით გაბაიძემ თურქეთის რესპუბლიკის მთავარ ომბუდსმენს - შერეფ მალქოჩს უმასპინძლა

4 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში თურქეთის რესპუბლიკის მთავარ ომბუდსმენს - შერეფ მალქოჩს, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად უმასპინძლეს.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებასა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ყურადღება გაამახვილა, ბოლო წლებში, საქართველოს ხელისუფლების მიერ, ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქალთა და ბავშვთა დაცვის მიმართულებით გატარებულ რეფორმებსა და მიღწევებზე.

შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ცოტნე ანანიძე და ლადო მგალობლიშვილი ესწრებოდნენ, მხარეები, სტრატეგიული, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.

შერეფ მალქოჩმა, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს, მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს გამოცდილების გაზიარება თურქული მხარისთვის მნიშვნელოვანია.

უმაღლეს საბჭოში გამართულ შეხვედრას თურქეთის სახალხო დამცველის მოადგილე ჯალილე ოზლემ თუნჩაქი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები, ბავშვთა დაცვის მონიტორინგის სპეციალისტები (UNICEF-ის წარმომადგენლები) და თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში - რიზა ქააღან ილმაზი ესწრებოდნენ.

ირაკლი ჩავლეიშვილი, აჭარის დელეგაციასთან ერთად, ქალაქ ნეაპოლში, კამპანიის რეგიონის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შეხვდა

16 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თამჯდომარის მოადგილე - ირაკლი ჩავლეიშვილი, აჭარის დელეგაციასთან ერთად, იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, კამპანიის რეგიონის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ლორედანა რაიას შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში, საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვასა და ამ გზაზე იტალიის მხარდაჭერაზე. ხაზი გაესვა ხვიჩა კვარაცხელიას დამსახურებას ორი ქვეყნის დაახლოების საქმეში.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია ნეაპოლის ისტორიულ ცენტრში, პალაცო ზაპატაში, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტსა და ნეაპოლის ტელემატიკა პეგასუსის უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრო. აქვე გაიმართა ბათუმელი მუსიკოსების კონცერტი და მხატვრების გამოფენა.

დავით გაბაიძემ სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაციას უმასპინძლა

20 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაციას უმასპინძლა, სასამართლოს თავმჯდომარის - არმან დილანიანის ხელმძღვანელობით.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე - მერაბ ტურავა და სომხეთის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში - ნარინე მატოსიანი ესწრებოდნენ.



დავით გაბაიძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა, სტუმრებს, აჭარის უმაღლეს საბჭოში გატარებულ რეფორმებზე, ღია მმართველობის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებსა და საკანონმდებლო ორგანოში დანერგილ სიახლეებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია აჭარაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოწვევით, საპასუხო ვიზიტით იმყოფება.

ირაკლი ჭეიშვილი სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 45-ე სესიას დაესწრო

26 ოქტომბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი - ირაკლი ჭეიშვილი, საქართველოს ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 45-ე სესიას დაესწრო.

24-26 ოქტომბერს გამართულ სესიაზე, ახალ პრეზიდენტად, ორწელიწადნახევრიანი მანდატით, ბელგიის წარმომადგენელი - მარკ ქულსი აირჩიეს. ასევე ჩატარდა კონგრესის პალატების პრეზიდენტებისა და მათი ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები.

კონგრესმა, პლენარული სესიის ფარგლებში, უკრაინაში ომის საწინააღმდეგო პოლიტიკური აქტივისტებისა და პატიმრების მდგომარეობის შესახებ რეზოლუცია მიიღო.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პანელურ შეხვედრებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის გამოყენების მონიტორინგის ანგარიშები, ენერგეტიკულ ტრანზაქციაში რეგიონების როლი, მდგრადი განვითარების მიმართულებით რეგიონული გამოცდილების გაზიარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

სესიას 40-ზე მეტი წევრი სახელმწიფოს ახალგაზრდული ორგანიზაციების დელეგატები დაესწრნენ, რომლებმაც დებატებში მონაწილეობის პარალელურად, კონგრესის „გაახალგაზრდავების პოლიტიკის“ საინიციატივო პროექტები წარადგინეს.

- 5 ოქტომბერი - მასწავლებლის საერთაშორისო დღე - 5.10.2023
- 2 წელი 26 მაისის ქუჩის ტრაგედიიდან - 8.10.2023
- სვეტიცხოვლობა- 14.10.2023
- ვეტერანის დღე - 17.10.2023
- შუახევობა - 2023 - 22.10.2023
- მასწავლებლის ეროვნული დღე - 27.10.2023
- უმაღლესი საბჭოს წევრები, თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას დაესწრნენ - 31.10.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge